

**მეფილე-მომპირკეთებელი 040654
პროფესიული სტანდარტი**

I. სფეროს აღწერა

მეფილე-მომპირკეთებელი ასრულებს მოსაპირკეთებელ სამუშაოებს სხვადასხვა სახის კერამიკული, ცემენტის და ბუნებრივი ქვის მასალებით. ტექნოლოგიური პროცესების დაცვით აგებს ფილებს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ზედაპირებზე, როგორც შენობის შიგნით, ასევე მის გარეთ.

II. დასაქმების სფერო

კურსდამთავრებული შესაბამისი კვალიფიკაციის მიღების შემდეგ შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ სამშენებლო ობიექტზე, რომლის მშენებლობას ახორციელებს "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნებისმიერი ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმის მქონე სამშენებლო კომპანია.

ა) მრავალპროფილიან საწარმოში; ბ) მონოპროფილიან საწარმოში; გ) როგორც თვითდასაქმებული.

III. დამატებითი მოთხოვნები

პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

მეფილე-მომპირკეთებლის განათლება არის ერთსაფეხურიანი, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

მეფილე-მომპირკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 30 კრედიტს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება მეფილე-მომპირკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

V. მეფილე-მომპირკეთებლის კვალიფიკაციის აღმწერი

III საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p>	<p>იცის: შრომის და ეკოლოგიური უსაფრთხოება; შენობის ნაწილები და სამშენებლო ნახაზები; სამშენებლო საქმიანობა; მოსაპირკეთებელი ფაილების სახეები; სამშენებლო დულაბები და ბეტონები, ცემენტ-წებოები; ინსტრუმენტები, მექანიზმები, მოწყობილობები, ხარაჩოები; ფილების წყობის შემუშავება; ზედაპირების მომზადება ფილებით მოპირკეთებისათვის; კერამიკული ფილების დაგება ვერტიკალურ ზედაპირზე; იატაკების მოწყობა კერამიკული ფილებით, ზედაპირის მოპირკეთება ბუნებრივი ქვის მასალებით; რბილი იატაკების მოწყობა; ნაკერების შევსება. აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს. იცის ხარისხის კონტროლის განხორციელების მეთოდები.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია შემდეგი სამუშაოების შესრულება: შრომის უსაფრთხოებისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმების დაცვა; სამუშაო მონაზომების გამოყოფა და სამუშაო ადგილის ორგანიზაცია; საჭირო მექანიზმებისა და ინსტრუმენტების მომზადება; სამუშაოსთვის; ხარაჩოებისა და ფიცარნაგების მომზადება; მოსაპირკეთებელი ზედაპირების დასარყვა, მონიშვნა, შუქურების დაყენება; დურაბებისა და ფილების მომზადება მოპირკეთებისთვის; ხელოვნური ფილების დაგება ინტერიერში; ვერტიკალურ ზედაპირებზე; იატაკზე ცემენტ-ქვიშის მოჭიმვის მოწყობა; იატაკების მოწყობა ხელოვნური და ბუნებრივი ქვის მასალებით; რბილი იატაკების მოწყობა; დაზიანებული ზედაპირების აღდგენა-რესტავრაცია; რთული მოხაზულობის ზედაპირების მოპირკეთება; მოპირკეთება დეკორატიული ფილებით; შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლი.</p>

დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის არსებული წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება.	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება. შეუძლია მცირე მუშარგოლის ხელმძღვანელობა.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარი სწავლისთვის საჭირო მიმართულებების განსაზღვრა და პასუხისმგებლობის აღება.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. შეუძლია შრომის უსაფრთხოების და საწარმოო ჰიგიენის დაცვა.